მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს სააღდგომო ეპისტოლე



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს

სააღდგომო ეპისტოლე

მღვდელთმთავრებს, მღვდლებს, დიაკვნებს, სამონაზვნო დასს

და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ერთგულ შვილს

უფლისმიერ საყვარელო ყოვლადსამღვდელონო მღვდელთმთავარნო,

ყოვლადპატიოსანო მღვდელნო და დიაკონნო, ღვთივსაყვარელნო ბერმონაზონნო,

ძვირფასო ძმანო და დანო!

თქვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, მცხოვრებთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომლებიც იმყოფებით ტაძრებში და ლოცულობთ სახლში, მოგმართავთ ამჟამად, რათა სულიერი სიხარულით აღვსილი გულით მოგილოცოთ წმინდა აღდგომის დიდი დღესასწაული და, ძველი ტრადიციის თანახმად, გამარჯვებით შემოვძახო:

ქრისტე აღდგა!

ორი ათასწლეულის განმავლობაში სწორედ ამ სიტყვებით საზეიმოდ ახარებს წმინდა ეკლესია ადამიანებს ღვთისგან ბოძებული გამოხსნის კეთილ უწყებას. მათშია ჩვენი რწმენის ცეცხლი, სიყვარულის ძალა, სასოების საფუძველი, ეკლესიის ქვაკუთხედი, სამყაროსადმი ახალი აღთქმის გზავნილის ცენტრი, განმანათლებლობის უცვლელი შუქი და შთაგონების წყარო, ქრისტიანული ცხოვრების გულისგული და მთელი ჩვენი მომავალი.

რაც არ უნდა მოხდეს ცვალებად, ხშირად მშფოთვარე და წინააღმდეგობრივ სამყაროში, რა სირთულეებიც და განსაცდელებიც არ უნდა შეგვხვდეს, ჩვენ ვიცით, გვწამს და ვქადაგებთ: მაცხოვრის აღდგომის შესახებ საპასექო სიხარული რჩება უცვლელი და ყოვლისმძლეველი.

რა არის ამ ქრისტიანული დღესასწაულის მთავარი აზრი? რატომ და რისთვის გარდამოხდა ძე ღვთისა დედამიწაზე, მიიღო *მონის ხატი* (ფილიპ. 2:7), დაითმინა ვნებები, ეცვა ჯვარს და აღდგა? და რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, 21-ე საუკუნის ადამიანებმა, რომ ჭეშმარიტად გავხდეთ ქრისტეს მიერ სიკვდილზე მოპოვებული გამარჯვების თანაზიარნი და მემკვიდრენი?

ამ კითხვებზე პასუხებს ეკლესია გვაძლევს. იგი მოწმობს, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისგან ხორცშესხმულმა ძე ღვთისამ *ჯოჯოხეთი წარმოსტყვენა, ადამ გამოიხსნა, წყევა დახსნა, ევა გაანთავისუფლა, სიკვდილი მოკლა, და ჩვენ განგვაცხოველა* (აღდგომის მომიხსენენი, ღვთისმშობლისა, ხმა 2). ჭეშმარიტად, უფალი განგვაცხოველებს ჩვენ თავისი სიყვარულით, გვაშორებს სიკვდილისა და ხრწნის შიშს, კურნავს ჩვენს სულიერ და ხორციელ უძლურებებს, გვეხმარება სიძნელეებსა და განსაცდელებში, გვანუგეშებს მწუხარებებში, გვეხმარება მივყვეთ მაცხოვნებელ გზას, რომელიც მარადიულ ცხოვრებაში შეგვიყვანს, როცა აღხოცავს ღმერთი ყოველგვარ ცრემლს ადამიანთა

თვალთაგან, და აღარ იქნება სიკუდილი; არცა გლოვა, არცა ღაღადება, არცა ტკივილი ღარ იქნება (გამოცხ. 21:4).

გამოსყიდვის ღვაწლის აღსრულების შემდეგ, უფალმა, ჯვარზე გაღებული მსხვერპლით და დიდებული აღდგომით, ყველას გაუღო სამოთხის კარი. მას შემდეგ დღემდე, თითოეულ ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, მთელი სულით აღიქვას ქრისტე ჭეშმარიტ ღმერთად და მხსნელად, რომელიც გვიგზავნის მადლმოსილ ძალას მართალი ცხოვრებისა და სამყაროს გარდაქმნაში აქტიური მონაწილეობისთვის.

წმინდა მღვდელთმთავარი ნიკოლოზ სერბი, გასული საუკუნის ცნობილი ღვთისმეტყველი, აღდგომაზე ფიქრით წერდა: *„ქრისტე აღდგა, რაც ნიშნავს, რომ სიცოცხლე სიკვდილზე ძლიერია. ქრისტე აღდგა, რაც ნიშნავს, რომ სიკეთე ბოროტებაზე ძლიერია. ქრისტე აღდგა, რაც ნიშნავს, რომ ქრისტიანთა ყველა იმედი გამართლებულია. ქრისტე აღდგა, რაც ნიშნავს, რომ ცხოვრების ყველა სირთულე დაძლეულია“* („ფიქრები სიკეთესა და ბოროტებაზე“). და ეს აღდგომის სიხარული, ღმერთთან ზიარების სიხარული დადასტურებული *განახლებული ცხოვრებით* (რომ. 6:4) სიკეთისა და სამართლიანობის საფუძველზე, შთაგვაგონებს სიყვარულისა და მოწყალობის საქმეებს, გვეხმარება უბედურებათა გამკლავებაში, გვანუგეშებს განსაცდელებში, იმედს აძლევს სასოწარკვეთილებაში მყოფთ, აძლიერებს სულმოკლეთ.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ჩვენი განსაკუთრებული ლოცვები ღვთისადმი მიმართულია ომის ზონაში მყოფი ადამიანებისთვის. ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, არ შეგვიძლია გულგრილნი დავრჩეთ ჩვენი და-ძმების უბედურებასა და გაჭირვებასთან მიმართებით, რომელთა გულებიც საშინაო კონფლიქტის ცეცხლით არის დამწვარი, ამიტომ ჩვენ აღვუვლენთ უფალს საგანგებო ვედრებას, რომ მან თავისი წყალობითა და სიკეთით განკურნოს ხორციელი და, უფრო კი, სულიერი ჭრილობები, ანუგეშოს ყველა მწუხარე და მიანიჭოს ძმურ ხალხებს, რომლებიც დნეპრის ერთი ნათლობის ემბაზიდან არიან გამოსულნი, მყარი და სამართლიანი მშვიდობა.

როგორც მაცხოვრის მიწიერი გზა იყო სავსე შრომითა და ადამიანებისადმი მსხვერპლშეწირული სიყვარულით, ასევე ჩვენც მოწოდებულნი ვართ ვემსგავსოთ მას მოყვასისადმი მსახურებაში, რამეთუ ნებისმიერი, თუნდაც უმცირესი სათნოება, საკუთარი ეგოიზმის დაძლევა სხვა ადამიანის სასიკეთოდ, ღმერთთან – ცხოვრებისა და უკვდავების წყაროსთან – გვაახლოებს და, შესაბამისად, გვაბედნიერებს.

მკვდრეთით აღდგომილმა უფალმა, რომელიც საკუთარი უტყუარი აღთქმისაებრ *თავის მიმდევრებთან მყოფობს ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულდმდე სოფლისა* (მთ. 28:20), დაე ღირს-გვყოს ჩვენ, ცოდვილნი და უძლურნი, მაგრამ სიმართლის მწყურვალნი და ხსნის მაძიებელნი, რომ მიწიერი გზის დასასრულს დავიმკვიდროთ ნეტარი ცხოვრება ზეციურ სავანეებში, რომლებიც *განმზადებულია დასაბამითგან სოფლისა* (მთ. 25:34), *წმინდანებთან ერთად და მის მარადიულ დიდებაში ვიმეფოთ* (წმ. ამბროსი მედიოლანელი. საგალობელი ჰიმნი „შენ, უფალს, გადიდებთ“). სიყვარულის მომავალი სასუფევლის მოლოდინის ამ სიხარულის შესახებ, როდესაც *ღმერთი*

იქნება ყოვლად ყოველსა შინა (1 კორ. 15:28), ეკლესია ყოველთვის ქადაგებს, განსაკუთრებით, აღდგომის ბრწყინვალე დღეებში.

შევისმინოთ ეკლესიის მაცხოვნებელი ხმა, რომელიც პავლე მოციქულის პირით მოგვიწოდებს, ვიდღესასწაულოთ პასექი *არა ცომითა მით ძველითა, არცა ცომითა მით სიბოროტისა და უკეთურებისაჲთა, არამედ უცომოებითა მით სიმართლისა და ჭეშმარიტებისაჲთა* (1 კორ. 5:8). შევისმინოთ და ვეცადოთ ვიცხოვროთ ღვთაებრივი მცნებებით, სახარებისეული სიმართლითა და კეთილი საქმეებით, მთელი ჩვენი ცხოვრებით დავამოწმოთ ახლობლებისა თუ შორებლების წინაშე, რომ ქრისტე ჭეშმარიტად აღდგა, და რომ მას ეკუთვნის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

ქრისტეს აღდგომა

- 2023 წელი
-

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90238/